



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №34

2014 წლის 8 ივლისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ქ. დუშეთში, კობიანთ დასახლების ქვემო უბნის გზის, სოფელ შალიკიანთკარის შიდა გზების მოხრეშვისა და კობიანთ დასახლებაში ე.წ. „თამარ მეფის“ წყაროსთან შემავალი გზის მოხრეშვის სამუშაოების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის 02 ივლისს (SPA1400116468) გამოცხადებული ტენდერი, კობიანთ დასახლების ქვემო უბნის გზის, შალიკიანთ დასახლების შიდა გზების მოხრეშვისა და კობიანთ დასახლებაში ე.წ. „თამარ მეფის“ წყაროსთან შემავალი გზის მოხრეშვის სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელების შესყიდვაზე არ შედგა.

იმის გათვალისწინებით, რომ ტენდერის ხელახალი გამოცხადებისათვის საჭიროა პროცედურები, რაც გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული ხოლო სამუშაოები უკვე დაწყებულია და მიმდინარეობს, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ითხოვს თანხმობას ზემოაღნიშნული შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10¹ მუხლის მე-3-ე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ქ. დუშეთში, კობიანთ დასახლების ქვემო უბნის გზის, სოფელ შალიკიანთკარის შიდა გზების მოხრეშვისა და კობიანთ დასახლებაში ე.წ. „თამარ მეფის“ წყაროსთან შემავალი გზის მოხრეშვის სამუშაოების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.